

აეროდრომზე საავიაციო მოვლენის ფორმის -105 თითოეული ველის განმარტება

<i>გთხოვთ შეავსოთ ყველა უჯრა. თუ არ გამოიყენება, მიუთითეთ -"NA", ან თუ ცნობილი არაა, მიუთითეთ- "NK". მოერიდეთ ტექნიკური ჟარგონის, იეროგლიფებისა და შემოკლებების გამოყენებას</i>	
სათაური	მოკლე ინფორმაცია, რომელიც მკითხველსთვის აიდენტიფიცირებს მოვლენას, მაგ: ფრინველის შეჯახება
საავიაციო მოვლენის წარმდგენი საწარმო/სამსახური	შესაბამის ველში მიუთითეთ მოვლენის წარმდგენი საწარმო/სამსახური. სამსახურის შემთხვევაში გთხოვთ ნათლად დაწეროთ ამ ერთეულის სახელი.
თარიღი (ადგილობრივი)	მიეთითოს საავიაციო მოვლენის ადგილობრივი თარიღი (დღე/თვე/წელი)) მაგ: 12/12/12
დრო (ადგილობრივი)	მიეთითოს საავიაციო მოვლენის ადგილობრივი დრო, 24 საათიანი მეთოდის გამოყენებით. მაგ: 23:59
სხ-ს მოდელი	ICAO-ს სხ-ს ტიპის აღმნიშვნელი - ოთხი სიმბოლოს კოდი მინიჭებული საჰაერო ხომალდისათვის - განისაზღვრება, როგორც მეტსახელი. [ICAO Doc 8643] (მაგალითი B735)
სხ-ს რეგისტრაცია	ნიშანი, რომელიც გამოიყენება სხ-ს იდენტიფიკაციისთვის. ნიშანი შედგება საერთო ნიშნისგან ან ეროვნების ნიშნისგან, რასაც მოჰყვება სარეგისტრაციო ნიშანი მაგ. (4L-XXX,)
აეროდრომის დასახელება	აეროდრომის დასახელება. ოთხ ასოიანი კოდი, რომელიც ჩამოყალიბებულია ICAO-ს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად და მინიჭებულია აერონავტიკული ფიქსირებული სადგურის ადგილმდებარეობაზე, მაგ: ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი - UGKO
ადგილმდებარეობა აეროდრომზე	მიუთითეთ აეროდრომის ის ელემენტი, სადაც მოხდა საავიაციო მოვლენა, მაგ: ადუ, სბ, ბაქანი, სხ-ს სადგომი, ტერმინალი ან სხვა.
ცის მდგომარეობა	ცის მდგომარეობა საავიაციოს ამინდის დაკვირვებისა და ნალექებისთვის მაგ. (მოდრუბლული, ნისლი, წვიმა).
ნალექი	ნალექის სახეობა ICAO Annex 3-ის შესაბამისად.
მოვლენის კატეგორია	მიუთითეთ მოვლენის შესაბამისი კატეგორია X მონიშვნით.
დანართი	ნებისმიერი დანართის შემთხვევაში (სიტუაციური გეგმა, ანგარიშები, ფოტოები ან სხვა) გთხოვთ, მიუთითოთ დანართის ტიპი შესაბამის ველში X-ით.
მოვლენის აღწერა	მოკლე თხრობა, რომელიც აღწერს მოვლენას. გამოიყენეთ მხოლოდ სტანდარტული აბრევიატურები. სადაც შესაძლებელია, ნუ გაიმეორებთ კოდირებულ მონაცემებში შეყვანილ ინფორმაციას. ასახეთ ყველა ინფორმაცია, რომელიც საჭიროა მკითხველისთვის შემთხვევის სცენარის გადასაცემად. განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნეთ ის ინფორმაცია, რომელიც არ შეიძლება იყოს კოდირებულ მონაცემებში

შენიშვნა:

ველური ბუნებით გამოწვეული შემთხვევა - შემთხვევები, როდესაც აეროდრომზე და მის შემოგარენში ველური ბუნების არსებობამ გავლენა იქონია ან შეიძლება გავლენა იქონიოს ფრენის უსაფრთხოებაზე (მაგ.: დაფრენისას მეორე წრეზე წასვლა, აფრენის შეწყვეტა და ა.შ)